დიდი ანგარიშით

ლესელიძის სპორტულ ბაზაზე, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა მორიგი საწვრთნელი მატჩი გამართა. მისი მეტოქე ამჯერად დონეცკის „შახტიორი“ იყო. თამაში დინამოელთა სრული ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით - 4:1 დამთავრდა. ბურთები გაიტანეს კაჭარავამ (2), ყაველაშვილმა და ფანცულაიამ.

დინამოელთა შემადგენლობა: გაბელია, კეტაშვილი, მაჭავარიანი (არზიანი), ჭედია, ცხადაძე (ფანცულაია), სვანაძე, აფციაური, ცვეიბა, ცაავა (ყაველაშვილი), გოგიჩაიშვილი, კაჭარავა.

“ლელო” 25.02.1989